სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო
STATE PROCUREMENT AGENCY

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს სასწავლო ცენტრის

ა ნ გ ა რ ი შ ი

- **ტრენინგის სახელწოდება** - „სახელმწიფო შესყიდვების კურსი".
- **ტრენინგის ხანგრძლივობა:** 40 სთ.
- **ტრენინგის დაწყებისა და დასრულების თარიღი:** 17-28 ნოემბერი.
- **ტრენინგი ჩატარდა:** კვირაში ხუთჯერ, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 სთ.-დან 16:00 სთ.-მდე.
- **ტრენინგის დაწყებისთანვე მსმენელებს დაურიგდათ სასწავლო მასალები და ბრენდირებული მეხსიერების ბარათები ციფრული ინფორმაციით.**
- **ტრენინგის დასასრულს მოხდა მსმენელთა სერტიფიცირება.**
- **სამუშაო დღის განმავლობაში ეწყობოდა ერთი ყავის შესვენება და ლანჩი.**
- **ტრენინგი დააფინანსა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ.**

მ/წლის 30 ოქტომბერს, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე, განთავსდა ამავე სააგენტოს სასწავლო ცენტრის განცხადება, სააგენტოს მიერ დაფინანსებულ ტრენინგზე „სახელმწიფო შესყიდვების კურსი" ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა მიღებასთან დაკავშირებით.
8 ნოემბრის ჩათვლით, სასწავლო ცენტრის ოფიციალურ ელექტრონულ ფოსტაში training.center@spa.ge შემოვიდა 50-მდე განაცხადი ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ დაფუძნებული აიპ-ების, შპს-ების, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ.

მეორე ნაკადის სამი ჯგუფისათვის დავარეგისტრირეთ და შეტყობინება მათი შერჩევის თაობაზე, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გავუგზავნეთ ადგილობრივი თვითმმართველობის 45 მოსამსახურეს; აღნიშნულ მსმენელებთან, ასევე, განვახორციელეთ სატელეფონო ზარები. შეტყობინებები გაეგზავნათ იმ განმცხადებლებსაც, რომლებიც აღნიშნულ ეტაპზე, ვერ მოხვდნენ ტრენინგის მონაწილეთა სიებში.

მსმენელები წარმოდგენილი იყვნენ საქართველოს ყველა რეგიონიდან:

რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი:

ლენტეხი - 1 მსმენელი; ცაგერი - 1 მსმენელი;

კახეთი:

გურჯაანი - 1 მსმენელი; დედოფლისწყარო - 2 მსმენელი;

ქვემო ქართლი:;

მარნეული - 1 მსმენელი; თეთრიწყარო - 1 მსმენელი; რუსთავი -1;

შიდა ქართლი:

ქარელი - 2 მსმენელი; თიღვი - 1 მსმენელი; სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია - 1 მსმენელი; ხაშური - 2 მსმენელი;

სამცხე-ჯავახეთი:

ადიგენი - 2 მსმენელი; ახალციხე - 1 მსმენელი; ასპინძა - 1 მსმენელი; ნინოწმინდა - 1 მსმენელი; ბორჯომი - 1 მსმენელი;

იმერეთი:

ქუთაისი - 1 მსმენელი; წყალტუბო - 1 მსმენელი; საჩხერე - 1 მსმენელი; ჭიათურა - 1 მსმენელი; ბაღდათი - 1 მსმენელი; ხონი - 2 მსმენელი;

გურია:

ლანჩხუთი - 1 მსმენელი;

აჭარა:

ბათუმი - 3 მსმენელი; ქედა - 1 მსმენელი;

მცხეთა-მთიანეთი:

მცხეთა - 5 მსმენელი; ახალგორი - 1 მსმენელი; დუშეთი - 1 მსმენელი;

სამეგრელო - ზემო სვანეთი:

მესტია - 1 მსმენელი; აბაშა - 1 მსმენელი; ზუგდიდი - 1 მსმენელი; ხობი - 1 მსმენელი; მარტვილი - 1 მსმენელი;

ზემო აფხაზეთი:

აჟარა - 1 მსმენელი;

ძირითად სიაში არსებული მსმენელებიდან არ გამოცხდდა 1 მსმენელი, რუსთავის მუნიციპალიტეტიდან, რომლის ნაცვლად მოწვეული იქნა მსმენელი მესტიის მუნიციპალიტეტიდან.

აღსანიშნავი ფაქტია, რომ ტრენინგის მეორე ნაკადში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კონფლიქტური რეგიონების წარმომადგენლებმა, კერძოდ კი - ზემო აფხაზეთის სოფ. აჟარას, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციისა და სასაზღვრო სოფელ თიღვას გამგეობის წარმომადგენლებმა.

მსმენელები დავყავით 3 ჯგუფად. თითოეული ჯგუფი შედგებოდა 15 მსმენელისგან. ტრენინგის პირველ ნაკადზე ერთი ჯგუფი ნაწილობრივ დაკომპლექტდა ე.წ. „პრობლემური მუნიციპალიტეტების“ თანამშრომლებით, ვისაც სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით, მეტი პრობლემები აქვთ შესყიდვების განხორციელების პროცესში. ტრენინგების პირველ ნაკადში, ზემოხსენებული დეპარტამენტის მიერ მოწოდებული 19 პრობლემური მუნიციპალიტეტიდან, სწავლებაზე მოსამსახურეები მოავლინა მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტის გამგეობამ. ესენია:

1. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
2. ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია;
5. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
6. ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
7. თვითმმართველი თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
8. თვითმმართველი თელავის მუნიციპალიტეტის მერია.

მეორე ნაკადის ტრენინგს ზემოთ ხსენებული სიიდან დაემატა:

1. ცაგერის მუნიციპალტეტის გამგეობა;
2. ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
3. ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი;
5. დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

ცხრამეტივე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები და სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით მომუშავე სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები ჩვენს მიერ, სატელეფონო შეტყობინების გზით, ინფორმირებული იყვნენ როგორც დაგეგმილი ტრენინგების, ისე მათ მუნიციპალიტეტებში შესყიდვების კუთხით არსებული პრობლემური სიტუაციის არსებობის თაობაზე.

ე.წ. პრობლემური მუნიციპალიტეტებიდან მეორე ნაკადზეც არ გამოცხადდნენ შემდეგი მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები:

1. შუახევის მუნიციპალიტეტის გამგეობა;

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
3. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობა;
4. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის გამგეობა;
5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

მსმენელთა გენდერული ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი: 45 მსმენელს შორის წარმოდგენილი იყო 29 ქალი და 16 მამაკაცი.

მსმენელთა ასაკობრივი ნიშნით დაყოფისას მივიღეთ შემდეგი სურათი: 35 წლამდე - 28 მსმენელი; 50 წლამდე - 11 მსმენელი; 65 წლამდე - 5 მსმენელი.

რა ვასწავლეთ?!

- სახელმწიფო შესყიდვების ზოგადი მიმოხილვა: სახელმწიფო შესყიდვების არსი და მოქმედების სფერო;
- რელევანტური ნორმატიული აქტები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვა; სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობა, სხვა აქტები და მათი ურთიერთკავშირი სახელმწიფო შესყიდვებთან;
- დღგ-ს ფაქტორი სახელმწიფო შესყიდვების პროცესში;
- შესყიდვის საშუალებების ზოგადი მიმოხილვა;
- სახელმწიფო შესყიდვის სრული პროცესი;
- სახელწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- ერთგვაროვნების დადგენა (Common Procurement Vocabulary – CPV კოდები);
- სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემა და სააგენტოს ოფიციალური ვებ-გვერდი;
- შესყიდვის დაგეგმვა, ბაზრის კვლევა/სავარაუდო ღირებულების განსაზღვრა, გეგმის რეგისტრაცია - ePLAN მოდულში, მონეტარული ზღვრები, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისობის დადგენა ბიუჯეტთან,შესყიდვების გეგმის კორექტირება;
- გამარტივებული შესყიდვა და ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;
- შესყიდვები ხელშეკრულებით - ხელშეკრულების პირობები, ცვლილება ხელშეკრულებაში, ინტერესთა კონფლიქტი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია და საავანსო ანგარიშსწორება, საჯარიმო სანქციები;
- შესყიდვები ხელშეკრულების დადების გარეშე - ხელშეკრულების ჩანაცვლება შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტით (ინტერნეტ-გამოწერა, წარმომადგენლობითი და სხვა შემთხვევები);
- ანგარიშგება - CMR მოდულის გამოყენება და ანგარიში ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე.
- სატენდერო კომისიისა და სატენდერო კომისიის აპარატის შექმნა, მისი ფუნქციები, მოვალეობები;

- შესყიდვის ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მოთხოვნების განსაზღვრა;
- სატენდერო დოკუმენტაციის, სატენდერო განცხადების შედგენა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ცვლილებები, ტენდერის გამოცხადება;
- ტენდერის განსაკუთრებული შემთხვევა, ერთობლივი, ორ ეტაპიანი ტენდერები და ალტერნატიული ტენდერი;
- სატენდერო წინადადების წარდგენა, ვადები, ელექტრონული ვაჭრობა;
- ოქმების/შეტყობინებების შედგენა/სტატუსების მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება, ხელშეკრულების მიმდინარეობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა;
- შავი და თეთრი სია;
- კონსოლიდირებული ტენდერი;
- კონკურსის მომზადება - საკონკურსო განცხადებისა და დოკუმენტაციის მომზადება, გამოცხადება, შედეგების განხილვა და ხელშეკრულების გაფორმება;
- დავების საბჭო, მისი ფუნქციები, მოვალეობები, განხილვის პროცედურები და გადაწყვეტილებები.

სახელმწიფო შესყიდვების კურსს უძღვებოდნენ სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თანამშრომლები, რომლებმაც შეითავსეს ტრენერის ფუნქცია.

ტრენინგის პირველ ნაკადზე წარმოდგენილი იყვნენ შემდეგი ტრენერები:

1. **სოფიკო ბერიშვილი** - იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი;
2. **ალექსანდრე ჩხიკვიშვილი** - ანალიტიკური ჯგუფის ექსპრტ-ანალიტიკოსი;
3. **მაია კუხალეიშვილი** - ტენდერების მონიტორინგის დეპარტამენტის გამარტივებული ხელშეკრულებების, კონკურსებისა და სახელმწიფო შესყიდვების გეგმების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;
4. **ანა გაგნიძე** - ფინანსური მართვისა და ლოგისტიკის სამსახურის შესყიდვების კოორდინატორი;
5. **თამარ გორდელაძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამართალწარმოების სამმართველოს უფროსი;
6. **ანა ჭანია** - ანალიტიკური ჯგუფის უფროსი;
7. **ქეთი ქადაგიძე** - კონსოლიდირებული ტენდერების უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
8. **კოტე გუგეშაშვილი** - მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი;
9. **მანანა შურღულაია** - საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
10. **გიორგი ლაცაბიძე** - იურიდიული დეპარტამენტის სამართლებივი უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი;
11. **გიორგი გოგიბერიძე** - მონიტორინგის დეპარტამენტის ტენდერების მონიტორინგის სამმართველოს უფროსი;

12. **ხვიჩა ბზიავა** - ტენდერების მონიტორინგის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.

ტრენინგის პირველ დღეს მსმენელებს ჩაუტარდათ პრე-ტესტირება, რითაც, დაახლოებით განისაზღვრა მათი ცოდნის დონე, მოცემული დროისათვის.

პრე-ტესტი შედგება 50 კითხვისგან, რომელშიც თითოეულ კითხვას აქვს 3 სავარაუდო პასუხი. თითოეული კითხვა არის 2 ქულიანი.

პოსტ-ტესტირება ჩატარდა კურსის დასრულებისთანავე, ანალოგიური შეფასების სისტემითა და კითხვების იგივე რაოდენობით. საბოლოო შეფასებით განისაზღვრა მსმენელთა სერთიფიკატების კატეგორიები.

არსებობს სერთიფიკატის სამი კატეგორია, შეფასების 100 ქულიანი სისტემის პირობებში, მსმენელის მოსწრების შესაბამისად:

- „წარმატებით ჩააბარა ტესტირება“ - 90%-ისა და მეტის დაძლევის შემთხვევაში;
- „კარგად ჩააბარა ტესტირება“ – 60%-დან 90%-მდე დაძლევის შემთხვევაში;
- „დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება“ – 40%-დან 60%-მდე დაძლევის შემთხვევაში.

<u>**პრე და პოსტ -ტესტების შედეგები პირველ ჯგუფში ასე გამოიყურება:**</u>

1. **ილია ზურიკაშვილი** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი - **74/80**
2. **რუსუდან ქვრივიშვილი** - ქარელის მუნიციპალიტეტი - **70/76**
3. **ეკატერინე ოქრომელიძე** - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი - **70/70**
4. **ირმა ბაბერციანი** - ქარელის მუნიციპალიტეტი - **68/76**
5. **თეიმურაზ ებანოიძე** - ბაღდათის მუნიციპალიტეტი - **58/88**
6. **მარიამ ხუციშვილი** - მესტიის მუნიციპალიტეტი - **54/64**
7. **მაკა აფციაური** - მცხეთის მუნიციპალიტეტი - **54/86**
8. **ანნა მამაგეიშვილი** - წყალტუბოს მუნიციპალიტეტი - **54/62**
9. **მარიკა ნავერიანი** - მარნეულის მუნიციპალიტეტი - **52/56**
10. **სესილია ხუფენია** - თვითმმართველი ქალაქი ზუგდიდი - **52/76**
11. **თემურ ასკურავა** - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი - **52/52**
12. **მაგდანა პაპიძე** - თვითმმართველი ქალაქი ბათუმი - **48/68**
13. **ავთანდილ რაზმაძე** - დუშეთის მუნიციპალიტეტი - **48/74**
14. **ლიანა ვაიტაძე** - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი - **42/76**

<u>ტრენინგის ეფექტურობის ერთ-ერთ ინდიკატორად მიგვაჩნია, სხვაობა პრე და პოსტ-ტესტირებაში მსმენელთა მიერ დაგროვილ ქულებს შორის. ხსენებული</u>

<u>სხვაობის მაქსიმალური მაჩვენებელი პირველ ჯგუფში შეადგენს 34 ქულას. აქვეა 30 ქულიანი სხვაობაც.</u>

<u>მეორე ჯგუფი</u>

1. **გიორგი ცუხიშვილი** - საჩხერის მუნიციპალიტეტი - **84/88**
2. **ბაგრატ ხალვაში** - თვითმმართველი ქალაქი ბათუმი - **74/84**
3. **მაია მახარაშვილი** - ბორჯომის მუნიციპალიტეტი - **74/90**
4. **გიორგი დემეტრაშვილი** - თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი - **72/78**
5. **თეა ბოჩიკაშვილი** - ადიგენის მუნიციპალიტეტი - **66/82**
6. **გოდერძი ლაზარაშვილი** - ასპინძის მუნიციპალიტეტი - **66/74**
7. **ინგა ნინიძე** - სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია - **64/72**
8. **ჰამლეტ კაპანაძე** - თიღვის მუნიციპალიტეტი - **62/50**
9. **დავითი ნოზაძე** - ხაშურის მუნიციპალიტეტი - **56/86**
10. **ლევანი ლიპარტელიანი** - ლენტეხის მუნიციპალიტეტი - **50/68**
11. **თამარ კვირიკაშვილი** - ცაგერის მუნიციპალიტეტი - **48/64**
12. **ქეთევან ეკალაძე** - თვითმმართველი ქალაქი მცხეთა - **44/82**
13. **მანანა მახარაშვილი** - ახალგორის მუნიციპალიტეტი - **40/46**
14. **ილონა არღვლიანი** - აჟარის მუნიციპალიტეტი - **48/68**

<u>ქულათა სხვაობის მაქსიმალური მაჩვენებელი მეორე ჯგუფში შეადგენს 38 ქულას.</u>

<u>მესამე ჯგუფი</u>

1. **ბონდო თოფურია** - მარტვილის მუნიციპალიტეტი - **82/86**
2. **მანანა ნოდია** - ხობის მუნიციპალიტეტი - **76/84**
3. **თამთა კაჭარავა** - აბაშის მუნიციპალიტეტი - **76/82**
4. **ლევანი ხვადაგიანი** - თვითმმართველი ქალაქი ქუთაისი - **72/94**
5. **როლანდი ბოლქვაძე** - თვითმმართველი ქალაქი ბათუმი - **68/86**
6. **ნინო მაჭარაშვილი** - ადიგენის მუნიციპალიტეტი - **58/78**
7. **სალომე კალანდაძე** - თვითმმართველი ქალაქი მცხეთა - **58/76**
8. **ლაშა გოგოლაძე** - ჭიათურის მუნიციპალიტეტი - **52/80**
9. **შორენა ფროდიაშვილი** - გურჯაანის მუნიციპალიტეტი - **52/62**
10. **ვახტანგ ბერიძე** - ქედის მუნიციპალიტეტი - **50/50**
11. **თამარ ელოშვილი** - თვითმმართველი ქალაქი მცხეთა - **50/64**
12. **თინათინ ფაილოძე** - ხონის მუნიციპალიტეტი - **48/66**
13. **სერგო სანოძე** - ხონის მუნიციპალიტეტი - **46/56**
14. **ეთერ გოგოლაძე** - ხაშურის მუნიციპალიტეტი - **46/76**
15. **ეთერი ტაბატაძე** - თვითმმართველი ქალაქი ახალციხე - **44/56**
16. **სალომე ბედოშვილი** - თვითმმართველი ქალაქი მცხეთა - **50/66**

<u>ქულათა სხვაობის მაქსიმალური მაჩვენებელი მესამე ჯგუფში შეადგენს 30 ქულას.</u>

<u>პრე-ტესტის შეკითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზი</u>

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია პრე-ტესტის 90 კითხვაზე გაცემული სწორი, არასწორი და მსმენელთა უმეტესობის მიერ მონიშნული ე.წ. „ყველაზე პოპულარული პასუხის“ პროცენტული მაჩვენებლები და ფრჩხილებში - მსმენელთა რაოდენობის განმსაზღვრელი ციფრი.

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
1	19% (5)	81% (22)	2 (48%)
2	35% (8)	65% (15)	2 (65%)
3	54% (13)	46% (11)	2 (54%)
4	62% (18)	38% (11)	1 (62%)
5	82% (18)	18% (4)	3 (82%)
6	10% (2)	90% (19)	2 (67%)
7	38% (10)	62% (16)	1 (50%)
8	64% (18)	36% (10)	3 (64%)
9	77% (24)	23% (7)	3 (77%)
10	57% (16)	43% (12)	1 (57%)

11	84% (21)	16% (4)	2 (84%)
12	54% (13)	46% (11)	1 (54%)
13	52% (13)	48% (12)	1 (52%)
14	90% (28)	10% (3)	2 (90%)
15	19% (5)	81% (21)	3 (65%)
16	14% (3)	86% (19)	3 (73%)
17	86% (19)	14% (3)	2 (86%)
18	55% (12)	45% (10)	2 (55%)
19	80% (24)	20% (6)	3 (80%)
20	50% (14)	50% (14)	1 (50%)
21	36% (8)	64% (14)	1 (55%)
22	60% (15)	40% (10)	1 (60%)
23	100% (22)	0% (0)	3 (100%)
24	74% (17)	26% (6)	3 (74%)

25	89% (17)	11% (2)	2 (89%)
26	81% (21)	19% (5)	2 (81%)
27	75% (15)	25% (5)	2 (75%)
28	46% (11)	54% (13)	1 (46%)
29	74% (17)	26% (6)	2 (74%)
30	21% (5)	79% (19)	2 (75%)
31	85% (22)	15% (4)	1 (85%)
32	67% (14)	33% (7)	2 (67%)
33	95% (20)	5% (1)	1 (95%)
34	33% (7)	67% (14)	1 (43%)
35	81% (17)	19% (4)	2 (81%)
36	81% (21)	19% (5)	3 (81%)
38	90% (19)	10% (2)	2 (90%)
39	68% (15)	32% (7)	1 (68%)

40	68% (15)	32% (7)	2 (68%)
41	40% (8)	60% (12)	2 (40%)
42	52% (12)	48% (11)	1 (52%)
43	83% (19)	17% (4)	2 (83%)
44	57% (13)	43% (10)	3 (57%)
45	40% (12)	60% (18)	1 (40%)
46	96% (27)	4% (1)	2 (96%)
47	14% (3)	86% (18)	1 (62%)
48	62% (13)	38% (8)	1 (62%)
49	57% (17)	43% (13)	3 (57%)
50	60% (12)	40% (8)	2 (60%)
51	28% (9)	72% (23)	3 (41%)
52	42% (11)	58% (15)	3 (54%)
53	35% (9)	65% (17)	1 (35%)

54	40% (10)	60% (15)	1 (40%)
55	73% (19)	27% (7)	2 (73%)
57	26% (5)	74% (14)	3 (58%)
58	50% (13)	50% (13)	3 (50%)
59	59% (13)	41% (9)	1 (59%)
60	54% (14)	46% (12)	2 (54%)
61	83% (20)	17% (4)	2 (83%)
63	38% (9)	63% (15)	1 (46%)
64	87% (20)	13% (3)	2 (87%)
65	50% (12)	50% (12)	2 (50%)
66	18% (4)	82% (18)	3 (55%)
67	28% (7)	72% (18)	3 (60%)
68	61% (17)	39% (11)	1 (61%)
69	12% (3)	88% (22)	3 (64%)

70	10% (3)	90% (27)	1 (83%)
71	29% (6)	71% (15)	3 (67%)
72	71% (17)	29% (7)	3 (71%)
73	76% (16)	24% (5)	1 (76%)
74	90% (19)	10% (2)	1 (90%)
75	64% (16)	36% (9)	1 (64%)
76	52% (13)	48% (12)	3 (52%)
77	79% (22)	21% (6)	3 (79%)
78	58% (14)	42% (10)	3 (58%)
79	85% (23)	15% (4)	2 (85%)
80	90% (18)	10% (2)	2 (90%)
81	57% (17)	43% (13)	1 (57%)
83	16% (4)	84% (21)	1 (56%)
84	81% (22)	19% (5)	1 (81%)

85	35% (11)	65% (20)	2 (58%)
86	57% (16)	43% (12)	2 (57%)
87	83% (19)	17% (4)	1 (83%)
88	40% (8)	60% (12)	1 (45%)
89	96% (24)	4% (1)	2 (96%)
90	54% (13)	46% (11)	1 (54%)

<u>პოსტ-ტესტის კითხვებზე გაცემული პასუხების ანალიზი</u>

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია პოსტ-ტესტის 85 კითხვაზე გაცემული სწორი, არასწორი და მსმენელთა უმეტესობის მიერ მონიშნული ე.წ. „ყველაზე პოპულარული პასუხის“ პროცენტული მაჩვენებლები და ფრჩხილებში - მსმენელთა რაოდენობის განმსაზღვრელი ციფრი.

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
1	57% (13)	43% (10)	3 (57%)
2	94% (31)	6% (2)	2 (94%)
3	69% (18)	31% (8)	1 (69%)
4	100% (21)	0% (0)	3 (100%)
5	96% (22)	4% (1)	2 (96%)

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
6	90% (19)	10% (2)	3 (90%)
7	45% (9)	55% (11)	1 (45%)
8	54% (13)	46% (11)	1 (54%)
9	90% (26)	10% (3)	1 (90%)
10	93% (25)	7% (2)	3 (93%)
11	74% (23)	26% (8)	2 (74%)
12	92% (23)	8% (2)	1 (92%)
13	40% (12)	60% (18)	1 (47%)
14	34% (12)	66% (23)	1 (46%)
15	72% (18)	28% (7)	1 (72%)
16	73% (19)	27% (7)	1 (73%)
17	53% (18)	47% (16)	3 (53%)
18	75% (21)	25% (7)	2 (75%)

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
19	**93% (26)**	**7% (2)**	**2 (93%)**
20	**93% (26)**	**7% (2)**	**2 (93%)**
21	**64% (16)**	**36% (9)**	**3 (64%)**
22	**85% (23)**	**15% (4)**	**3 (85%)**
23	**69% (18)**	**31% (8)**	**3 (69%)**
24	**70% (21)**	**30% (9)**	**1 (70%)**
25	**55% (18)**	**45% (15)**	**2 (55%)**
26	**61% (17)**	**39% (11)**	**3 (61%)**
27	**93% (27)**	**7% (2)**	**1 (93%)**
28	**97% (30)**	**3% (1)**	**3 (97%)**
29	**84% (26)**	**16% (5)**	**3 (84%)**
30	**67% (18)**	**33% (9)**	**3 (67%)**
31	**90% (27)**	**10% (3)**	**1 (90%)**

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
32	**69% (20)**	**31% (9)**	**2 (69%)**
33	**85% (28)**	**15% (5)**	**1 (85%)**
34	**100% (30)**	**0% (0)**	**3 (100%)**
35	**64% (18)**	**36% (10)**	**1 (64%)**
36	**86% (24)**	**14% (4)**	**3 (86%)**
37	**63% (17)**	**37% (10)**	**1 (63%)**
38	**69% (22)**	**31% (10)**	**2 (69%)**
39	**71% (20)**	**29% (8)**	**2 (71%)**
40	**52% (14)**	**48% (13)**	**1 (52%)**
41	**63% (19)**	**37% (11)**	**3 (63%)**
42	**77% (27)**	**23% (8)**	**2 (77%)**
43	**60% (18)**	**40% (12)**	**2 (60%)**
44	**90% (18)**	**10% (2)**	**2 (90%)**

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
45	93% (26)	7% (2)	3 (93%)
46	85% (22)	15% (4)	3 (85%)
47	97% (30)	3% (1)	1 (97%)
48	64% (18)	36% (10)	2 (64%)
49	56% (14)	44% (11)	1 (56%)
50	84% (26)	16% (5)	3 (84%)
51	27% (7)	73% (19)	2 (73%)
52	76% (22)	24% (7)	1 (76%)
53	37% (11)	63% (19)	3 (43%)
54	44% (12)	56% (15)	1 (44%)
55	96% (23)	4% (1)	1 (96%)
56	66% (21)	34% (11)	1 (66%)
57	83% (20)	17% (4)	3 (83%)

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
58	86% (24)	14% (4)	2 (86%)
59	35% (8)	65% (15)	1 (39%)
60	76% (16)	24% (5)	2 (76%)
61	73% (16)	27% (6)	3 (73%)
62	73% (24)	27% (9)	2 (73%)
63	61% (17)	39% (11)	1 (61%)
64	100% (29)	0% (0)	1 (100%)
65	61% (19)	39% (12)	1 (61%)
66	93% (27)	7% (2)	1 (93%)
67	85% (28)	15% (5)	1 (85%)
68	29% (6)	71% (15)	1 (71%)
69	71% (15)	29% (6)	3 (71%)
70	100% (26)	0% (0)	3 (100%)

საკითხი	სწორი პასუხები	არასწორი პასუხები	ყველაზე პოპულარული პ
71	**89% (25)**	**11% (3)**	**2 (89%)**
72	**74% (23)**	**26% (8)**	**2 (74%)**
73	**39% (12)**	**61% (19)**	**2 (58%)**
74	**57% (16)**	**43% (12)**	**3 (57%)**
75	**68% (15)**	**32% (7)**	**2 (68%)**
81	**54% (13)**	**46% (11)**	**2 (54%)**
82	**79% (23)**	**21% (6)**	**3 (79%)**
83	**70% (16)**	**30% (7)**	**3 (70%)**
84	**93% (25)**	**7% (2)**	**3 (93%)**
85	**65% (13)**	**35% (7)**	**2 (65%)**

შენიშვნა: პრე და პოსტ- ტესტები იხილეთ 2 თანდართული ფაილით.

45 მსმენელიდან ორმა მსმენელმა წარმატებით ჩააბარა ტესტირება. ესენია:

1. **ლევან ხვადაგიანი** - 72/94 (ქუთაისი). სწავლების შემდეგ აჩვენა 22 ქულით მაღალი შედეგი.
2. **მაია მახარაშვილი** - 74/90 (ბორჯომი).სწავლების შემდეგ აჩვენა 16 ქულით მაღალი შედეგი.

შვიდმა მსმენელმა დამაკმაყოფილებლად ჩააბარა ტესტირება. ესენია:

1. **მარიკა ნავერიანი** - 60/56 (მარნეული)
2. **თემურ ასკურავა** - 50/52 (ლანჩხუთი)
3. **ჰამლეტ კაპანაძე** - 62/50 (თიღვი)
4. **მანანა მახარაშვილი** - 40/46 (ახალგორი)
5. **სერგო სანოძე** - 46 /56 (ხონი)
6. **ეთერ ტაბატაძე** - 44 /56 (ახალციხე)
7. **ვახტანგ ბერიძე** - 50/50 (ქედა)

დანარჩენმა 35-მა მსმენელმა კარგად ჩააბარა ტესტირება.

თუკი, თავდაპირველად, ჯგუფების მიხედვით, გამოვთვლით მსმენელთა მიერ ორივე ტესტირებაში დაგროვილ ქულებს და დავაჯამებთ, შემდეგ გამოვთვლით პრე და პოსტ-ტესტირების შედეგებს შორის სხვაობას, მივიღებთ ეფექტურობის დაახლოებით პროცენტულ მაჩვენებელს.

პრე -ტესტი:	**პოსტ- ტესტი:**
ჯგუფი #1 - 57%	ჯგუფი #1 – 72%
ჯგუფი #2-62%	ჯგუფი #2 – 74%
ჯგუფი #3- 59%	ჯგუფი #3- 73%
<u>საშუალო: 59.3 %</u>	**<u>საშუალო :73%</u>**

<u>სხვაობა პოსტ და პრე-ტესტის პროცენტულ მაჩვენებლებს შორის (ეფექტურობის მიახლოებითი მაჩვენებელი) შეადგენს 14%, რაც 3%-ით აღემატება პირველი ნაკადის მსმენელთა შედეგების ეფექტურობის მაჩვენებელს.</u>

ევალუაცია (შეფასება)

ტრენინგის ორგანიზაციული ნაწილის, სასწავლო პროგრამის, დამხმარე მასალებისა და ტრენერების მუშაობის შეფასების მიზნით გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები:

- ქოუჩერის ფრაგმენტული დასწრება ტრენინგზე, რის შემდეგაც, საჭიროებიდან გამომდინარე, ხდებოდა ტრენერთა ინდივიდუალური კონსულტირება;
- ინდივიდუალური წერილობითი ჩექლისტები (მსმენელებს დაურიგდათ ნაბეჭდი ფორმა);
- ინდივიდუალური გასაუბრება მსმენელებთან (თავად გავუკეთეთ ორგანიზება);
- ჯგუფური გასაუბრება მსმენელებთან (თავად გავუკეთეთ ორგანიზება).

შეფასებისას, ასევე, გათვალისწინებული იქნა ტრენინგის მონაწილეთა მიერ, ტრენინგის მსვლელობის დროს ნებისმიერი ფორმით გამოხატული შეფასება (სტიკერები, ფერადი ფურცლები, საკუთარი ხელით მომზადებული პოსტერები და სუვენირები და სხვ.).

მანამ, სანამ შევაფასებდით ტრენერთა მუშაობას, ასევე, განვსაზღვრეთ და წინასწარ გავაცანით მათ შეფასების კრიტერიუმები. ესენია:

- კომუნიკაციის უნარი;
- ტრენინგის მიზნებისა და ქვემიზნების განსაზღვრა;
- თეორიის გასაგებ ენაზე პრეზენტირება;
- პრაქტიკული დავალებების - სიტუაციური სავარჯიშოების, პრობლემური სიტუაციის ანალიზისა (“**Case-study**”) და საქმიანი თამაშების, ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ორგანიზება;
- დისკუსიის წარმართვა;
- ტრენინგის ფაზების ადეკვატური წარმართვა;
- დამხმარე მედიების გამოყენება;
- ვიზუალი.

ასევე, გავითვალისწინეთ ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რამდენად მეთოდურად მიჰყვებოდნენ ტრენერები ტრენინგის სქემას:

- მისალმება;
- ტრენერის წარდგენა და მონაწილეთა გაცნობა;

- მონაწილეთა მოლოდინის გამოკითხვა;
- ტრენინგის კონცეფციის გაცნობა;
- დღის წესრიგის წარდგენა;
- მუშაობის წესების ჩამოყალიბება;
- თემატური რეზიუმირება;
- ყოველი სესიის ბოლოს მიზნის გახსენება და განვლილი მასალების შეჯამება;
- ყოველი სესიის დასაწყისში წინა სესიის მასალების გახსენება;
- ყოველი დღის ბოლოს შეჯამება.

გამომდინარე იქედან, რომ ტრენინგის სქემა მეთოდური თვალსაზრისით, ტრენერთა მიერ, ფაქტიურად, სრულად იყო გატარებული პრაქტიკაში, არ შეიძლება მათი მუშაობა ჯამში დადებითად არ შევაფასოთ.

ტრენერთა ცალკეულ დახასიათებამდე აუცილებელია, აღინიშნოს, მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეფუძნება ინდივიდუალურ დაკვირვებას, ჯგუფურ და ინდივიდუალურ სიტყვიერ თუ წერილობით გამოკითხვას, შეფასების სხვადასხვა ფორმებს, ის სუბიექტურია. უკლებლივ ყველა ტრენერისთვის შეგვიძლია ხაზი გავუსვათ ორ საერთო მახასიათებელს, ესაა: კომპეტენტურობა და მონდომება. მეორე ნაკადზე აღნიშნულ თვისებებს დაემატა ტრენინგის ჩატარების გამოცდილება.

რაც შეეხება მსმენელთათვის ტრენინგის მეორე კვირაში დარიგებული შეფასების ფორმებით წარმოდგენილ ცალკეულ შეფასებებს:

მსმენელთა შეფასებები

მსმენელთა გამოკითხვის ფორმების (წარმოდგენილი იქნა კითხვარის მხოლოდ 41 ერთეული) ანალიზის მიხედვით:

1. **მიმაჩნია, რომ ეს მოდული, ზოგადად არის:**
   ძალიან წარმატებული - 28 მსმენელი;
   წარმატებული - 13 მსმენელი;
   წარუმატებელი - 0;
2. **მიმაჩნია, რომ ამ მოდულის სწავლების პერიოდი არის:**
   ხანგრძლივი - 1 მსმენელი;
   ხანმოკლე - 4 მსმენელი;
   ნორმალური - 36 მსმენელი.
3. **მიმაჩნია, რომ ჩემი საქმიანობისათვის ამ სახის ტრენინგი:**
   არ არის საჭირო - 0;
   საჭიროა - 4 მსმენელი;
   აუცილებელია - 37 მსმენელი.

4. **ტრენინგის მოდულს:**
   არაფერს დავამატებდი - 30 მსმენელი;
   განვავრცობდი - 7 მსმენელი;
   თავი შეიკავა (არ შეავსო) – 4 მსმენელი.

   მათ ვინც შემოხაზა პოზიცია „განვავრცობდი“, წარმოადგინეს შემდეგი წინადადებები (სტილი დაცულია):
   - „სასურველია, დაემატოს საკითხი, ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების შესახებ“;
   - „სატენდერო დოკუმენტაციაზე გამახვილდეს ყურადღება“;
   - „მეტი დრო დაეთმოს სატენდერო დოკუმენტაციის შექმნას“;
   - „სატენდერო დოკუმენტაციის მომზადებას დავუთმობდი მეტ დროს“;
   - „კანონმდებლობას უფრო სიღრმისეულად განხილავდი“.
5. **ჩემი აზრით, დამხმარე მასალები:**
   კვალიფიციურად არის შედგენილი და სრულია - 32 მსმენელი;
   კვალიციფიურად არის შედგენილი, მაგრამ არასაკმარისი - 8 მსმენელი;
   არაკვალიფიციურად არის შედგენილი - 1 მსმენელი.
6. **ტრენინგის ორგანიზების ხარისხი არის:**
   ძალიან კარგი - 39 მსმენელი;
   დამაკმაყოფილებელი - 2 მსმენელი;
   არადამაკმაყოფილებელი - 0.
7. **ტრენინგის რომელი თემა იყო საინტერესო და ნაკლებად საინტერესო?!**
   - ყველა თემა იყო საინტერესო - 24 მსმენელი აღნიშნავს ცალსახად, კომენტარების გარეშე;
   - ყველა თემა იყო საინტერესო, მაგრამ გამოვარჩევდი...– 16 მსმენელი
   - თავი შეიკავა (არ შეავსო) – 1 მსმენელი.

რას გამოარჩევს ის 16 მსმენელი, რომლებმაც შემოგვთავაზეს საკუთარი შეხედულებები. ეს საკითხებია (სტილი დაცულია):

- გამარტივებული შესყიდვები და ტენდერები;
- სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა და ერთგვაროვნების დადგენის წესი;
- დავების საბჭო, გამარტივებული ელექტრონული ტენდერები;
- კონსოლიდირებული ტენდერები, გამარტივებული შესყიდვები, დღგ-ს ფაქტორი;
- შერჩევა-შეფასების კრიტერიუმები;
- თეთრი და შავი სია;

8. **რაც შეეხება იდეებსა და რეკომენდაციებს (სტილი დაცულია):**
    - „ტრენინგი ჩატარდეს წელიწადში ერთხელ მაინც, სადაც მოხდება მიღებული ცოდნისა და სიახლეების შეჯერება“;
    - „ტრენინგ-მოდულის გამდიდრება პრაქტიკული მაგალითებითა სიტუაციური სავარჯიშოებით“ (მოითხოვს მსმენელთა უმრავლესობა);
    - „სააგენტომ შეისწავლოს და გამოავლინოს სახელმწიფო შესყიდვებში დაშვებული შეცდომები და სწორედ ამ კუთხით მოახდინოს მსმენელთა გადამზადება“;
    - „ანალოგიური ტრენინგები ჩაუტარდეთ ადგილობრივი თვითმართველობების ორგანოების ხელმძღვანელ პირებსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების ხელმძღვანელებს“;
    - „ტრენინგის დროის (ტრენინგ-საათების) გაზრდა“;
    - „ყოველწლიური ვორქშოფები“;
    - „CMR-ში იწერებოდეს ჩარიცხული თანხების % და გეგმაზე მიბმული იყოს ტენდერები და CMR-ის მოდული ისე, რომ თანხის ცთომილების საშუალებას არ გვაძლევდეს“;
    - „ჩატარდეს შუალედური ტესტიც“;
    - „გადამზადდნენ მომწოდებლები“;
    - „მოხდეს ტრენინგ პროგრამის დიფერენცირება მსმენელთა გამოცდილების გათვალისწინებით“.
9. **კვებითი მომსახურება არის:**
    ძალიან კარგი - 32 მსმენელი;
    კარგი - 8 მსმენელი;
    დამაკმაყოფილებელი - 1 მსმენელი.
10. რაც შეეხება ტრენერთა შეფასებას, აქ, ძირითადად, უმაღლესი შეფასებებია კატეგორიით „შესანიშნავი“, რაც, რა თქმა უნდა, გამოწვეულია, ტრენერთა მაღალი კვალიფიკაციით და ამასთანავე, მსმენელთა ზოგადი პოზიტიური ემოციური დამოკიდებულებით სააგენტოს მიერ ორგანიზებული ტრენინგების მიმართ. მსმენელებთან გასაუბრებისას თუ ტრენინგების მსვლელობის დროს არაერთგზის გაიჟღერა სააგენტოს მხრიდან მუნიციპალიტეტების შემსყიდველთა მისამართით გადადგმული კეთილგანწყობის გამომხატველი ნაბიჯების მნიშვნელობამ. მსმენელები ღიად გამოხატავდნენ კმაყოფილებას სააგენტოს ხელმძღვანელ პირთა უშუალო, ღია და კომუნიკაბელურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით, რამაც შეცვალა მათი აქამდე არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად, ტრენერთა უმაღლესი კატეგორიის შეფასების „შესანიშნავის“ მიუხედავად, მაინც იკვეთება ტრენერთა შეფასებითი განსხვავებულობა, რაც შესაძლოა, გამოწვეული იყოს ტრენერის მიერ წარმოდგენილი საკითხების ნაკლებაქტუალურობითა და მათ

მიერ ჩატარებული საათების სიმცირით, რამაც არ მისცათ ტრენერებს საშუალება მეტი დრო გაეტარებინათ მსმენელებთან.

<u>მსმენელთა პრეტენზიები ტესტის შეკითხვებთან დაკავშირებით</u>

მეორე ნაკადის მსმენელებმა წერილობითა და ელექტრონული ფოსტის მეშვეობით წარმოგვიდგინეს პრობლემური შეკითხვები, მათ მიერ გაცემული, ტესტის ელექტრონულ პროგრამაში სწორ ვერსიად დაფიქსირებული და კანონიდან ამონარიდი პასუხების თანდართვით.

მსმენელი გვწერს:

1. შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოუდგენლობა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას:

<u>ჩემს მიერ მონიშნული პასუხია და ჩათვლილია არასწორად:</u>

ა) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე13 მუხლის მე2პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე;

<u>სისტემაში მონიშნული პასუხია:</u>

ბ)სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე13 მუხლის მე2პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეუსაბამობა გამოწვეულია პრეტენდენტის არაკეთილსინდისერი ქმედებით.

<u>ამონარიდი წყაროდან, სადაც არ ჩანს ,,არაკეთილსინდისიერი ქმედება“</u>

მუხლი 13. დისკვალიფიკაცია
2. მიმწოდებელი ან/და პრეტენდენტი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, ამ წესის მე-12 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების გათვალისწინებით, არ შეესაბამება სატენდერო განცხადებას ან/და სატენდერო დოკუმენტაციას;

მუხლი 12. შერჩევა/შეფასება
5. სატენდერო კომისია არ ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ სისტემაში ატვირთულიტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს.
6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს სამი სამუშაო დღისა. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდა წარმოდგენილი დოკუმენტაციის დაზუსტება, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების საჭიროების შემთხვევაში, სატენდერო კომისია ვალდებულია ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს ხარჯთაღრიცხვის დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ სისტემაში მთლიანი ტექნიკური დოკუმენტაცია ატვირთულია ხარვეზის მქონე ფაილის სახით (რომელიც არ იკითხება), შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება არ აქვს, პრეტენდენტს მიმართოს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხარვეზიანია ტექნიკური დოუმენტაციის ისეთი ნაწილი, რომლის წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას ან/და არ გაზრდის წინადადების ფასს. ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნამდე.

<u>ტრენერ გიორგი გოგიბერიძის პასუხი აღნიშნულ შეკითხვასთან დაკავშირებით:</u>

„ცალსახად წერია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“
მე-11 მუხლის მე-3 ქვეპუნქტში:
„შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვის ობიექტის ნიმუშის წარმოდგენის მოთხოვნით პრეტენდეტს მიმართავს სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ვადაში. შემსყიდველ ორგანიზაციაში შესყიდვის ობიექტის

ნიმუშის წარმოდგენის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნამდე. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნამდე პრეტენდენტის მიერ ნიმუშის წარმოუდგენლობა ან მისი შეუსაბამობა სატენდერო განცხადების ან/და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან, ან სისტემის მეშვეობით პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ დოკუმენტაციასთან, გამოიწვევს მის დისკვალიფიკაციას ამ წესის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე , გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შეუსაბამობა გამოწვეულია პრეტენდენტის არაკეთილსინდისერი ქმედებით.“

29. „ტენდერი შეწყვეტილია“ სტატუსის მინიჭება შესაძლებელია, თუ:

<u>ჩემს მიერ მონიშნული პასუხია და ჩათვლილია არასწორად:</u>

ა) ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი „ტენდერი გამოცხადებულია“

<u>სისტემაში მონიშნული პასუხია:</u>

ბ) განხორციელდა ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია

<u>ამონარიდი წყაროდან:</u>

პუნქტი რ) როცა ყველა პრედენტენტი დისკვალიფიცირებულია ტენდერს ენიჭება სტატუსი ,,დასრულებულია უარყოფითი შედეგით“ და არა შეკითხვაში მითითებული:

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები
ტ) ტენდერი შეწყვეტილია – სტატუსი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი
წარმომადგენლის მიერ ტენდერს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამის ოქმს, რომელშიც მოცემული იქნება ტენდერის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება შესაძლებელია ტენდერის მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, გარდა ტენდერისთვის ამ პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების შემთხვევისა;
ჟ) ხელშეკრულება დადებულია – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი

ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება დადგენილი წესით მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულება და სისტემის შესაბამის ველში მიეთითება აღნიშნული
მიმწოდებლის სახელწოდება. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება
დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა და ტენდერს დადგენილი წესით არ მინიჭებია ამ პუნქტის „კ"–„პ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ყველა სტატუსი ამავე პუნქტში მოცემული თანმიმდევრობით; რ) დასრულებულია უარყოფითი შედეგით – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია (ასეთის არებობის შემთხვევაში), რითაც დასტურდება, რომ ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია.

<u>ტრენერ კოტე გუგეშაშვილის პასუხი ე.წ. პრობლემურ შეკითხვაზე:</u>

„კითხვა ჩამოყალიბებული იქნა შემდეგი სახით:
„ტენდერი შეწყვეტილია" სტატუსის მინიჭება შესაძლებელია, თუ:

აღნიშნული კითხვის სავარაუდო პასუხები მოცემული იქნა შემდეგი რედაქციით:
ა) განხორციელდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;
ბ) ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი „ტენდერი გამოცხადებულია";
გ) განხორციელდა ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

განხილვა:

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ" ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერი შეწყვეტილია – სტატუსი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ტენდერს შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ატვირთავს სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამის ოქმს, რომელშიც მოცემული იქნება ტენდერის შეწყვეტის საფუძველი. აღნიშნული სტატუსის მინიჭება შესაძლებელია ტენდერის

მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე, გარდა ტენდერისთვის ამ პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭების შემთხვევისა;

ა) განხორციელდა ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია; -
ამ შემთხვევაში საუბარია, რომ ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა (და არა ყველა მონაწილე პრეტენდენტმა) მიიღო დისკვალიფიკაცია. შესაბამისად, ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერის მიმდინარეობის მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია ტენდერს მიენიჭოს სტატუსი „ტენდერი შეწყვეტილია“.

ბ) ტენდერს მინიჭებული აქვს სტატუსი „ტენდერი გამოცხადებულია“; - შესაბამისად, ზემოაღნიშნული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ტ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტენდერის მიმდინარეობის მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია ტენდერს მიენიჭოს სტატუსი „ტენდერი შეწყვეტილია“.

გ) განხორციელდა ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია. - ამ შემთხვევაში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ტენდერში მონაწილე ყველა პრეტენდენტი იქნა დისკვალიფიცირებული. შესაბამისად, ტენდერში არ არის დარჩენილი არცერთი პრეტენდენტი, რომელიც არ არის დისკვალიფიცირებული. ხოლო, მოცემულ შემთხვევაში ტენდერისათვის სტატუსის მინიჭება „ტენდერი შეწყვეტილია“ დაუშვებელია (ასევე შეზღუდულია სისტემურად მოცემული ქმედების განხორციელება), ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში ტენდერს ენიჭება სტატუსი „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის თანახმად, დასრულებულია უარყოფითი შედეგით – სტატუსი, რომელიც ტენდერს ენიჭება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ სისტემაში აიტვირთება სატენდერო კომისიის სხდომის შესაბამისი ოქმი და სხვა დოკუმენტაცია (ასეთის არებობის შემთხვევაში), რითაც დასტურდება, რომ ტენდერში მონაწილე ყველაზე დაბალი ფასის სატენდერო წინადადების მქონე ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა მიიღო დისკვალიფიკაცია. ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის ტენდერისთვის მინიჭება დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში არც ერთმა მიმწოდებელმა არ მიიღო მონაწილეობა;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დასმულ კითხვაზე სწორ პასუხად უნდა დაფიქსირებულიყო „გ“ ვარიანტი.“

#33 . CMRში არ იტვირთება ხელშეკრულება:

<u>ჩემს მიერ მონიშნული პასუხია და ჩათვლილია არასწორად:</u>

ა) თუ შესყიდვა განხორციელდა ნორმატიული აქტებით დადგენილი გადასახდელების გადახდით
<u>იყო ასეთი ვარიანტიც</u>
ბ) თუ შესყიდვა განხორციელდა წარმომადგენლობითი ხარჯებით
სისტემაში მონიშნული პასუხია:
გ) არცერთი ზემოთ ჩამოთვლილი პასუხი არ არის სწორი;

<u>ამონარიდი წყაროდან, რომელის ადასტურებს რომ პასუხის ველში მითითებული უნდა იყოს:</u>
– ორივე პასუხი სწორია
მუხლი 19. ხელშეკრულება 9. ხელშეკრულების დადება არ არის სავალდებულო:
გ)წარმომადგენლობით ხარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებისას;
დ) საქართველოს ნორმატიული აქტით დადგენილი გადასახდელების გადახდის გზით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვისას.

<u>ტრენერ ანა გაგნიძის პასუხი შეკითხვის მართებულობასთან დაკავშირებით:</u>

„უნდა აიტვირთოს აუცილებლად სისტემაში. ანგარიშგების წესში მითითებულია მხოლოდ ხელშეკრულება და რადგან ეს დოკუმენტი ცვლის ხელშეკრულებას წესში მოხსენიებულია როგორც ხელშეკრულება.“

38. შესაძლებელია თუ არა დავაში ჩართული იქნეს დაინტერესებული მხარე

<u>ჩემს მიერ მონიშნული პასუხია და ჩათვლილია არასწორად:</u>
ა)შესაძლებელია

<u>სისტემაში მონიშნული პასუხია:</u>
ბ)შესაძლებელია საბჭოს აპარატის ან მხარეთა მოთხოვნის საფუძველზე

ამონარიდი წყაროდან:

მუხლი 4. საბჭოს აპარატის სტრუქტურა და საქმიანობის წესი
2. საბჭოს აპარატი, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში:
დ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ორგანიზებას და მხარეების (მომჩივანი, მოპასუხე) და
დაინტერესებულ პირთა (არსებობის შემთხვევაში) საბჭოს სხდომაზე მოწვევას;
მუხლი 6. საბჭოს საქმიანობის წესი
4. საბჭო საჩივარს განიხილავს ღია სხდომაზე, გარდა საქართველოს კანონმდებლობით
გათვალისწინებული შემთხვევებისა.
დასკვნა: თუ სხდომა ღიაა, დაინტერესებულ მხარეს შეუძლია სხდომაზე დასწრება და შესაბამისად, ჩართვაც,
ტრენერ თამარ გორდელაძის პასუხი:
აღნიშნულთან დაკავშირებთ განგიმარტავთ, რომ გარდა იმისა, რომ აღნიშნულ საკითხს არეგულირებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 30 ნოემბრის N11 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საქმიანობის წესის“ მე-4 მუხლი (თქვენს მიერ მითითებული ამონარიდი) ასევე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი ნაწილის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი განმარტავს, დაინტერესებული პირის ცნებას, რომლის მიხედვითაც დაინტერსებულ პირს (მომჩივანს, მოპასუხეს და მესამე მხარეს) აქვს უფლება თავად მოითხოვოს ჩართული იყოს იმ საკითხის განხილვაში, რომლის მონაწილეც არის თავად.

ტრენერის განმარტება:

„განვმარტავთ, რომ ტრენინგის მსვლელობის დროს ხაზგასმული იქნა აღნიშნული გარემოება, რათა სწორად ყოფილიყო აღქმული შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან მსგავსი ფაქტები, რადგან ხშირად არის, რომ მხარის მომართვის საფუძველზე ხდება მისი დავების საბჭოს სხდომაზე მოწვევა და პროცესში ჩართვა. აღნიშნული საკითხი ანალოგიურად რეგულირდება სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სადაც უფლება აქვს მხარეს თავად ჩაერთოს, როგორც დაინტერსებული (მესამე) პირად. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არის ზემდგომი აქტი, გარკვეული საკითხები მოწესრიგებულია აღნიშნულით და შესყიდვების სააგენტო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია იმოქმედოს მისი დაცვით. ტესტებში აღნიშნული საკითხის ამგვარად განხილვა გამოწვეული იყო სწორედ ზემოხსენებული გარემოებებით და შემსყიდველი ორგანიზაციების უფრო

მეტად ინფორმირებისთვის, რათა თავიდან იქნეს აცილებული შემდგომი გაურკვევლობა.

პ.ს. თქვენს მიერ მონიშნული პასუხი, ნამდვილად იყო არასწორი, რადგან (იხილეთ პრეზენტაცია) პრეზენტაციებში არაერთხელ იქნა ხაზი გასმული, რომ შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას აქვს სხვადასხვა აქტებთან (კანონთან, კოდექსთან, განკარგულება და ა.შ.) კვეთა. "

მსმენელთა მიერ წარმოდგენილ ე.წ. პრობლემურ შეკითხვებს პასუხები გაეცა შეკითხვების ავტორი ტრენერების მიერ და დასაბუთებულად განემარტათ, რომ მათი ეჭვები უსაფუძვლოა.

https://www.facebook.com/media/set/?set=a.679032388871708.1073741840.573330036108611&type=3
https://www.facebook.com/media/set/?set=a.683662988408648.1073741842.573330036108611&type=3
https://www.facebook.com/media/set/?set=a.684893324952281.1073741843.573330036108611&type=3

სასწავლო ცენტრის ადმინისტრაცია